ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 10

11 აგვისტო 2023 წელი

ქ. ბაღდათი

12:00 საათი

2023 წლის 11 აგვისტო გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ნოდარ გიორგიძე, გურამი კიკნაველიძე, გია სახამბერიძე, სიმონ ჭოლოკავა, თეა გოგნაძე, ბიძინა ჯაბიძე, კახა კოხოძე, ალექსანდრე ფახურიძე, ნინო ფურცელაძე, იოსებ კვირიკაშვილი, ირინა ტყეშელაშვილი, გურამ ჩხეიძე, ნინო კვირიკაძე, მაკა მესხი, მაია კბილაშვილი, გიორგი კოტორეიშვილი, მურად ბურჯანაძე, ზვიად გუმბერიძე, ვლადილერ წიქორიძე, გვანცა გრძელიძე, ზაზა ზივზივაძე, შადიმან გორგოძე, ჯუმბერ რობაქიძე.

სულ: 23 საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: ირაკლი გოგსაძე, თორნიკე გაჩეჩილაძე, შალვა მშვილდაძე, დიომიდე კიკნაველიძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

ვაჟა ჩაფიძე- მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი.

ნატო ნატრიაშვილი- მუნიციპალიტეტის მერიის იურდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი .

ანტონ ქარაბაკი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მეტერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

ირინე აბაიშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

საკრებულოს აპარატი:

ნოდარ ებანოიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23 საკრებულოს წევრმა.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა ნოდარ გიორგიძე - საკრებულოს თავმჯდომარე რომელმაც საკრებულოს სხდომას ამცნო, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა მუნიციპალიტეტის მერის წერილობითი წინადადება 12 აგვისტომდე რიგგარეშე სხდომის მოქვევის შესახებ. ნ. გიორგიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგის პროექტი..

დღის წესრიგი

1.„ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ," ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ვაჟა ჩაფიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი უფროსი.

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ლიზინგის მომსახურების ფორმით ექსკავატორ-დამტვირთველის (JCB CX5, გამოშვების წელი 2023წ.) შეძენის შესახებ.

მომხს. ანტონ ქარაბაკი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მეტერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

დღის წესრიგი მიღებული იქნა.

მომხრე - 23 წინააღმდეგი - 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ," ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ საკრებულოს სხდომას მოახსენა, ვაჟა ჩაფიძემ - - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

აზრი გამოთქვეს: ვლადიმერ წიქორიძემ, მაკა მესხი, გურამი კიკნაველიძემ, ბიძინა ჯაბიძემ. მურად ბურჯანაძემ, სიმოკ ჭოლოკავამ, ნოდარ გიორგიძემ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა წარმოადგინა: მურად ბურჯანაძემ - მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომა ადგენს:

დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N11 დადგენილება:დ-67. 6723223001 თარიღი:11/08/2023 (დადგენილება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 23 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ლიზინგის მომსახურების ფორმით ექსკავატორ-დამტვირთველის (JCB CX5, გამოშვების წელი 2023წ.) შეძენის შესახებ.

ექსკავატორ-დამტვირთველის შეძენის პირობები და მახასიათებლები ბიუროს წევრებს გააცნო: ანტონ ქარაბაკმა - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის შესყიდვებისა და მეტერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

აზრი გამოთქვეს: მაკა მესხმა, ვლადიმერ წიქორიძემ, ბიძინა ჯაბიძემ, ნოდარ გიორგიძემ.

ვლადიმერ წიქორიძე, მაკა მესხი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", მათ მიზანშეწონილად მიაჩიათ ასეთი ტექნიკის შეძანა, მაგრამ ისინი და მთლიანად ფრაქცია წინააღმდეგია შესყიდვა განხორციელდეს ლიზინგის ფორმით, რადგან ღირებულებაზე ზემოთ მუნიციპალიტყეტის ბიუჯეტს უწევს ბანკის სასარებლოდ 100.0 ათას ლარზე მეტის გადახდა. მათი წინადადებით უმჯობესი იქნებოდა თანხის დაგროვება მოეხდინათ ბიუჯეტში, რაზედაც, როგორც საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის წარმომადგერნელმა ვ. ჩაფიძემ განმარტა შეუძლებელია, რადგან წლის ბოლომდე უკვე გაწერილია მოსალოდნელი შემოსულებების ხარჯები და ტექნიკის შეძენა გადაიწევდა გაურკვეველი ვადით.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა წარმოადგინა: გვანცა გრძელიძემ - მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N41 განკარგულება:გ-67.6723223001 თარიღი: 11/08/2023 (განკარგულება თან ერთვის);

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე- 16 წინააღმდეგი- 7(ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 7 წევრი)

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: **ნოდარ გიორგიძე**